სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 88

ქ. გარდაბანი 8 აპრილი 2011 წ.

ერთის მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტი (მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73) წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ფეიქრიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „შა-გი 2010" (მის: ქ. რუსთავი,თბილ. ქ-ის.მ/ტ.მე-6კვ.ნაკვეთი#15) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გიორგი სებისკვერაძე-ს სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"). სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ყ" ქვეპუნქტის თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას სოფ.ვაზიანის დასახლების წყალმომარაგებისა და ზედა ვაზიანის ჭაბურღილის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესახებ.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 6 400 (ექვსი ათას ოთხასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე, დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების დასრულების ვადა

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დასრულების ვადაა 2011 წლის 17 აპრილი.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის გადაუხადოს „მიმწოდებელს" შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

6.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) სათანადო ნორმების დაცვით შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულება.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" ვალდებულების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

7. ინსპექტირების პირობები

7.1 ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებულ ვალდებულებას ინსპექტირებას უწევს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური.

7.2 არაჯეროვნად შესრულებულ ვალდებულებას ინსპექტირების ჯეგუფი აფიქსირებს ოქმით. აღნიშნულის გამოსწორება ხდება „მიმწოდებელი"-ს მიერ საკუთარი ხარჯებით

8. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1% -ის ოდენობით.

8.2 ამ მუხლის 8.1 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების მესრულებისაგან .

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების **10%**-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეურულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას (ასეთის გამოყენების შემთხვევაში), თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდგენლობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ტარიფების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში მედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	შ.პ.ს. „შა-გი 2010“
მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73	მის: ქ. რუსთავი,თბილ. ქ-ის.მ/ტ.მე-6კვ.ნაკვეთი#15
საიდენტიფიკაციო კოდი: № 226573204	საიდენტიფიკაციო კოდი № 416 288 083
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-ს	ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ბ.კ. № LBRTGE22	ბ.კ. LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: № GE59LB0120137100012000	ანგარიშსწორების ანგარიში: № GE47LB0113124188238000
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	შ.პ.ს. „შა-გი 2010“-ს დირექტორი
გიორგი ფეიქრიშვილი	გიორგი სებისკვერაძე
8 აპრილი 2011 წელი	8 აპრილი 2011 წელი